# ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი

## რეკონსტრუქციისა და განვითარების საკონკურსო პროექტი




Design by

თბილისი 2014 წ.

# ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი

## რეკონსტრუქციისა და განვითარების საკონკურსო პროექტი



Design by

თბილისი 2014 წ.

# არსებული პარკის სიტუაციური გეგმა



# ო რ თ ო ფ ო ტ ო



# განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების
პარკის მოწყობის სამუშაოების
წინასაპროექტო-საკონკურსო ესკიზური პროექტი

საპროექტო-სარეაბილიტაციო ვეტერანთა დასვენების პარკი მდებარეობს ქ.თბილისში, კერძოდ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაძალადევის რ-ში, იგი ქალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ და ისტორიულად აქტიურ უბანში /ნაძალადევის რ-ნი/-ში მდებარეობს. პარკის აქტიური ჩამოყალიბება სათავეს მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს, რომელიც დღემდე თითქმის უცვლელი იერსახითაა მოღწეული გარდა მცირე ტრანსფორმაციისა, რასაც იგი პერიოდულად განიცდიდა მისი არსებობის მანძილზე. პარკის ძირითად ღერძებზე განთავსებული მემორიალი მკვეთრად აქცენტირებულია კოლონადის შესასვლელი პორტალისა და შადრევანი-მემორიალის სახით. პარკის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მისი განვითარების მანძილზე სხვადასხვა ტიპის ატრაქციონების, კაფეს, საზაფხულო თეატრის, შადრევნის და საფეხმავლო ბილიკების კვალი, რომლებიც დღეის მდგომარეობით ამორტიზირებულია ან ხშირ შემთხვევაში გაუქმებული.

საკონკურსო პირობების/დავალება/თანახმად, რომლის მთავარი მოთხოვნაა/პუნქტი№2/ქ.თბილისში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შდგენა, ჩვენ როგორც ამ კონკურსში მონაწილე ჯგუფს მიგვაჩნია, რომ უნდა მოეწყოს მისი როგორც სივრცითი ასევე ფუნქციონალური ზონირების განსაზღვრა პარკისათვის აუცილებელი რამოდენიმე კრიტერიუმით, ესენია:

I. პარკის მთავარ შესასვლელ ღერძზე არსებული მემორიალისა და შადრევნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
II. ინვალიდთა დასვენების სივრცის მოწყობა-ორგანიზება;
III. საგანმანათლებლო მოცულობა-ზონის შექმნა მედიათეკისა და საზაფხულო თეატრის საშუალებით;
IV. პარკის კომერციული თვითმყოფადობისათვის აუცილებელია განისაზღვროს ატრაქციონებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების
სხვადასხვა ტიპის მცირე პარკული კომერციული მოცულობების დაგეგმარება-მოწყობა;
V. დღეის მდგომარეობით არსებული პარკის საფეხმავლო ბილიკებისა და ხეივნების სანიაღვრე-სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია
პარკული სანათების სისტემის მოწყობით;
VI. აგრეთვე გასათვალისწინებელია თუ რა დიდი როლი აკისრია ქალაქის ამ უბნისათვის აღნიშნულ პარკს სარეკრეაციო და
დასვენების კუთხით, გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის ტერიტორიაზე გარდა პროექტით წარმოდგენილი
საბავშვო-სათამაშო სივრცეების რეაბილიტაციისა, სათამაშო მოედნების სახით, ამავდროულად თანამედროვე ტექნოლოგიის მქონე
შადრევნის ზონების გაჩენა, რაც ზაფხულის ცხელ პერიოდში მნიშვნელოვან დადებით როლს მიანიჭებს ზემოთხსენებულ პარკს;
VII. პარკში გარდა არსებული მთავარი შესასვლელისა საჭიროა გაჩნდეს მოწესრიგებული სათადარიგო შესასვლელი შესაბამისი
ფუნქციებით, ესენია:

- მოეწყოს მომსახურე ავტო-ტექნიკური ტრანსპორტის შესასვლელი მის
ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან-ც.დადიანის ქუჩიდან;
- სათადარიგო შესასვლელის ორგანიზება მიზანშეწონილია მოეწყოს
თორნიკე ერისთავის ქუჩიდან პარკის სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან;



# პარკის კონცეპტუალური თემები

პროექტის მიხედვით სარეკონსტრუქციო პარკში გათვალისწინებულია ანაკრები სისტემის სხვადასხვა ფორმის საჩრდილობლები, რომლებიც ნებისმიერ დროს შესაძლებელია მოეწყოს და მოიხსნას.

პარკის ძირითადი თემებია:

- პარკის ელ.სანათების სისტემა;
- ურნები და საპარკო სკამები;
- სადრენაჟო სისტემა-სანიაღვრე არხებით;
- ვეტერანთა კლუბი,მემორიალი;
- ველო და სარბენი ბილიკები,პიკნიკის ზონა/დაცული ლანდშაფტი/;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ბავშვთა პარკული სათამაშო ზონა;

## პარკის ელ.სანათების სისტემა

პარკის სივრცითი გადაწყვეტისათვის განსაზღვრულია ელ.სანათების 2 ძირითადი სისტემა, რომლებიც სათამაშო მოედნების, ველობილიკებს და საფეხმავლო ბილიკებს გასწვრივ მოეწყობა. ერთ შემთხვევაში მაღლივი სანათის (H=2,4 - 2,8m.) ვერტიკალური ელემენტებით, ხოლო მეორე შემთხვევაში დაბალი სანათის (H=0,6 - 0,8m.) ტიპებით მოეწყობა;

## ურნები და საპარკო სკამები

საფეხმავლო ბილიკების გასწვრივ პიკნიკის, სახელოვნებო და ბავშვთა სათამაშო ზონებში მოეწყოს ე.წ. "გაბიონები"-ს სისტემის ქვედა დგარზე ხის თერმულად დამუშავებული ელემენტებით საპარკო სკამები, რომლებიც შესაბამისად ურნებით ანალოგიური-თერმულად დამუშავებული ხის მასალით იქნება აღჭურვილი.

## სადრენაჟო სისტემა სანიაღვრე არხებით

არსებული პარკის სადრენაჟო-სანიაღვრე არხები სავალალო მდგომარეობაშია და არ არსებობს სადრენაჟო სისტემა. გამომდინარე აქედან აუცილებელია მოეწყოს პირველ რიგში მიწისპირა კომუნიკა-ციებთან ერთობლიობაში ზემოთხსენებული სადრენაჟო სისტემა არხული ტიპის, რომელიც დამატებით წყლის სარკეს გააჩენს, რომ შემდეგ მოხდეს პარკის სრულყოფილი სანიაღვრე არხების ფუნქციონირება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შადრევნების წყლის მარაგის შემავსებლად.

## ვეტერანთა კლუბი, მემორიალი

პროექტით გათვალისწინებულია ვეტერანთა დასვენებისა და გართობისათვის საკლუბო ტიპის ნაგებობა საზაფხულო ამფითეატრი/არსებული შენობის რეკონსტრუქცია/, რომელიც მოეწყობა მემორიალის მიღმა წყლის ფარდის უკან. მასში განთავსდება სამაგიდო თამაშების სივრცე, სადაც შესაძლებელია მოეწყოს ბიბლიოთეკა/პრესა, ჟურნალ-გაზეთები და ა.შ./. არსებული მემორიალი დგას ყოფილი კიკვიძის ქანდაკების პოსტამენტზე, რომელიც დამატებით შეფუთულია ქვის მოპირკეთებით, რაც აუხეშებს ხედს და პროპორციაში ჩაგრავს ვეტერანთა მემორიალს.

პროექტის მიხედვით ძველი შადრევანი ჩანაცვლებულია დინამიური შადრევნით, რაც ხსნის მემორიალის სივრცეს საინტერესო ხედვის წერტილებით. მემორიალს გააჩნია ორი კომპოზიციური ფონი:

1) პროექტით გათვალისწინებულია მემორიალის ფონი-კედელი, რომელიც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წყლის ჭავლით, რაც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი კომპოზიტური მასალის ან ბუნებრივი მასალის გამოყენებას.

2) მონუმენტის უკან წარმოდგენილია ორდონიანი ნაგებობა, რომლის ფასადი მონუმენტის მხრიდან წყლის დაშვებული ფარდაა და მის ზედა დონეზე დგას მრავალფუნქციური მედია ეკრანი.

შ.პ.ს. "ევრიკა +"
დირექტორი მ.მურვანიძე


დაცული ლანდშაფტი
ვეტერანთა დასვენების სივრცე
მწვანე კედელი
სახელოვნებო სივრცე
შადრევნები
საბავშვო გასართობი სივრცე
N
პიკნიკ-ზონა
სატრანსპორტო გზა
სპორტულ გამაჯანსაღებელი ზონა
ვეტერანთა კლუბი და საზაფხულო კინოთეატრი
ატრაქციონები
ველოგზა და სარბენი ბილიკი




LTD"EUREKA+" 1060 Tbilisi /O.Wiladze#4/ E-mail: info.eurekaplus@gmail.com
WWW.SAITI.GE











LTD"EUREKA+" 1060 Tbilisi /O.Wiladze#4/ E-mail: info.eurekaplus@gmail.com
WWW.SAITI.GE





















LTD"EUREKA+" 1060 Tbilisi /O.Wiladze#4/ E-mail: info.eurekaplus@gmail.com
WWW.SAITI.GE

Design by